ხელშეკრულება № 1342

ქ. თბილისი „12“ სექტემბერი 2011წ.

1. ხელშეკრულების მხარეები

1.1 ერთი მხრივ, ზუგდიდის რ/ნ სოფ. ოდიშის №2 საჯარო სკოლა მისი დირექტორის [illegible] სახით (შემდგომში - “შემსყიდველი”) და მეორე მხრივ, შპს “მვპ” მისი დირექტორის მამუკა ფაჩუაშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2.ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სასკოლო ჟურნალის, კათედრის პორტფოლიოს და დამრიგებლის პორტფოლიოს დაბეჭდვა და მიწოდება.

2.2 საქონლის სპეციფიკაცია უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 138.40(ასოცდათვრამეტი) ლარს 40 თეთრი.

3.1.1 ერთი ცალი I-IV კლასის სასკოლო ჟურნალის ღირებულება შეადგენს 4.50 ლარს.

3.1.2 ერთი ცალი V-XII კლასის სასკოლო ჟურნალის ღირებულება შეადგენს 5.90 ლარს.

3.1.3 ერთი ცალი კათედრის პორტფოლიოს ღირებულება შეადგენს 4.20 ლარს

3.1.4 ერთი ცალი დამრიგებლის პორტფოლიოს ღირებულება შეადგენს 4.00 ლარს

3.2 ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს“.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. „მიმწოდებელითან“ ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარისწორებით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი, წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადები.

4.3 „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება 6.2. პუნქტში განსაზღვრული პროცედურების დასრულების შემდეგ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

5. მხარეთა უფლებები

5.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

5.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს თანხის დროული გადახდა.

5.2 „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

5.2.1. მოითხოვოს ხარისხიანი საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

5.2.2 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

6. მხარეთა ვალდებულებები

6.1. **„მიმწოდებელი“ ვალდებულია:**

6.1.1 დადგენილ ვადაში 5.1 პუნქტის შესაბამისად გადასცეს „შემსყიდველს“ ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი.

6.1.2. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

6.1.3 მიაწოდოს ინფორმაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საჯარო სკოლის მიერ დაზიანებული ჟურნალის ხელახალი მოთხოვნის თაობაზე.

6.2. **„შემსყიდველი“ ვალდებულია:**

6.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის“ თანხის გადახდა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

6.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7. სადავო საკითხების გადაწყვეტა

7.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული გარემოებების ირგვლივ წარმოშობილი ყველა უთანხმოება და დავა უნდა მოაგვარონ ურთიერთშეთანხმების გზით.

7.2. მხარეებმა, სადაო საკითხის შეთანხმების გზით მოგვარების შეუძლებლობის შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი წესით შეუძლია მიმართონ სასამართლოს.

8. მხარეთა მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2011 წლის 31 დეკემბრამდე.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

ა) საქონლის მოწოდებით.

ბ) მხარეთა შეთანხმებით.

გ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ზუგდიდის რ/ნ სოფ. ოდიშის №2	
საჯარო სკოლა	
მის: _____	შპს „მ.ვ.პ“
ს/კ 220355238	მის: ქ. თბილისი, გუდიაშვილის მ. №7/2
	ს/ს „ თი ბი სი ბანკი “
	ბანკის კოდი 220101830
	ა/ა GE82TB0600000360200240
	ს/კ 204465131
დირექტორი _____	დირექტორი
	მამუკა ფაჩუაშვილი